



**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა**  
**ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა**

ქ. ბათუმი, დიდაჭარის ქუჩა №23  
 ტელ: 25-93-21, ფაქსი: 25-93-13

N 05/2772  
 30/09/2015

2772-05-2-201509300928



საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის  
 ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტს ბატონ დავით ჯიქიას

ბატონო დავით,

თქვენი 2015 წლის 11 სექტემბრის №1582 მომართვის პასუხად გიგზავნით ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 23 მაისის №130 ბრძანებას ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში კლიმატის ცვლილებისა და მდგრადი განვითარების ჯგუფის შექმნის შესახებ და 2015 წლის 29 სექტემბრის №637 ბრძანებას ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში კლიმატის ცვლილებისა და მდგრადი განვითარების ჯგუფის შექმნის შესახებ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 23 მაისის №130 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

დანართი 3 ფურცელი.

ნადიმ ვარშანიძე

გამგებელი

ხელმძღვანელობა





## ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 637

ქალაქი ბათუმი

29/09/2015

637-05-4-201509291144



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში კლიმატის ცვლილებისა და მდგრადი განვითარების  
ჯგუფის შექმნის შესახებ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 23  
მაისის №130 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად  
ვბრძანებ:

1. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში კლიმატის ცვლილებისა და მდგრადი  
განვითარების ჯგუფის შექმნის შესახებ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014  
წლის 23 მაისის №130 ბრძანების პირველ პუნქტში შეტანილ იქნეს ცვლილება და  
ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. შეიქმნას ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში კლიმატის ცვლილებისა და მდგრადი  
განვითარების სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

- მანუჩარ მანველიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის,  
ქონების მართვის, სოფლის მეურნეობისა და შესყიდვების სამსახურის უფროსი - ჯგუფის  
ხელმძღვანელი;

- რეზო ვარშანიძე - მუნიციპალიტეტის გამგეობის სოფლის მეურნეობისა და  
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის განყოფილების უფროსის მოვალეობის  
შემსრულებელი - ჯგუფის მდივანი;

- ტარიელ ნაკაშიძე - მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-ეკონომიკური  
სამსახურის უფროსი - ჯგუფის წევრი;

- გიორგი ქურიძე - მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის  
უფროსი - ჯგუფის წევრი;

- ანა ბაჭაშვილი - ქონების მართვისა და პრივატიზების განყოფილების უფროსი -  
ჯგუფის წევრი;

- ეთხოვოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ და გარემოს  
დაცვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს იოსებ ბოლქვაძეს სამუშაო ჯგუფში  
მონაწილეობის მიღება;

- ჯემალ შავლიძე - ა(ა)იპ ხელვაჩაურის გამწვანების, დასუფთავებისა და კომუნალური მომსახურების სამსახურის დირექტორი - ჯგუფის წევრი.

2. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსს ბ-ნ ზ. ხალვაშს.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ნადიმ ვარშანიძე

6.3.2017

გამგებელი

ხელმძღვანელობა







## ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 130

ქალაქი ბათუმი

„23“ 05 2014წ

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში კლიმატის ცვლილებისა და მდგრადი განვითარების  
ჯგუფის შექმნის შესახებ

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის რეგიონული პოლიტიკისა და მდგრადი განვითარების ცენტრის დირექტორის N844 მომართვის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. შეიქმნას ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში კლიმატის ცვლილებისა და მდგრადი განვითარების სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:


- ანზორ ფერცელიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი - ჯგუფის ხელმძღვანელი;
- რეზო ვარშანიძე - მუნიციპალიტეტის გამგეობის სოფლის მეურნეობისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - ჯგუფის მდივანი;
- ტარიელ ნაკაშიძე - მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის უფროსი - ჯგუფის წევრი;
- გიორგი ქურიძე - მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი - ჯგუფის წევრი;
- ანა ბაგაშვილი - ქონების მართვისა და პრივატიზების განყოფილების უფროსი - ჯგუფის წევრი;
- ეთხოვოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს მერაბ გურგენიძეს სამუშაო ჯგუფში მონაწილეობის მიღება;
- ჯემალ შავლიძე - ა(ა)იპ ხელვაჩაურის გამწვანების, დასუფთავებისა და კომუნალური მომსახურების სამსახურის დირექტორი - ჯგუფის წევრი;

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით შექმნილ ჯგუფს დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში კლიმატის ცვლილებისა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში მისი დაინტერესებული პირის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის  
მოვალეობის შემსრულებელი



ნოდარ ხალვაში